ხელშეკრულება №2024/10/039

(გამარტივებული შესყიდვა)

საკვები პროდუქტების შესყიდვაზე

ქ. თბილისი **23 იანვარი, 2024 წ.**

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის **რევაზ კავთელიშვილის** სახით და **შ.პ.ს „მეამა",** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი დირექტორის **თეიმურაზ ბოსტოღანაშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, 2024 წლის 09 იანვრის №4508/17 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია **საკვები პროდუქტების (ყავა) შესყიდვა (CPV-15800000).**

2.2 საქონლის დასახელება და რაოდენობები მოცემულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ფასთა ცხრილში (დანართი №1).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასთა ცხრილის (დანართი №1) შესაბამისად და შეადგენს **3300 (სამი ათას სამასი) ლარს,**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, დღგ-ს ჩათვლით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) **განახორციელოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2024 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში, ეტაპობრივად, შემსყიდველის ყოველი მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში,** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №22.

ბ) მიაწოდოს შემსყიდველს სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო, ვარგისი და შესაბამისი ხარისხის მქონე საკვები პროდუქტები;

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ინსპექტირება

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2 ინსპექტირებას განახორციელებენ შემსყიდველის ლოგისტიკისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის მენეჯერი ხათუნა ჯუკაშვილი და ადმინისტრაციული დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი თანამშომელი ან ამავე სამსახურის/დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი თანამშრომლელი/თანამშრომლები. ***ინსპექტირება გულისხმობს, როგორც შესყიდვის ობიექტის ხარისხის კონტროლს, ასევე ხელშეკრულებაში მითითებული ვადების კონტროლს. ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში, ინსპექტირების განმახორციელებელი პირი ვალდებულია, აღნიშნულს შესახებ წერილობით აცნობოს შესყიდვების სამსახურს.***

5.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5.4 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით,

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) დაფინანსების წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის საკუთარი შემოსავლები.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

შემსყიდველი:

საჯარო რესტრის ეროვნული სააგენტო,
წარმოდგენილი შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის
რევაზ კავთელიშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №22
საბანკო რეკვიზიტები: ანგ: ხაზინის ერთიანი ანგარიში №GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22,
სახაზინო კოდი: 707427078
სკ - 202238621

მიმწოდებელი:

შ.პ.ს „მეამა",
წარმოდგენილი დირექტორის
თეიმურაზ ბოსტოღანაშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ამილახვარის ქ.N2.
ტელ: 2 80 08 08; info@meama.ge;
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. № GE07TB7625336020100005
სს „თი ბი სი ბანკი", კოდი: TBCBGE22,
სკ - 405139425

Meama LLC
Digitally signed by Meama LLC
Date: 2024.01.23 11:20:55 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2024 წლის 23 იანვარი

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საკვები პროდუქტების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, შ.პ.ს „მეამასთან" ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - რევაზ კავთელიშვილი

შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე - ნონა წიკლაური

ფასთა ცხრილი

დანართი №1

	დასახელება	მოცულობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი ლარი დღგ-ს ჩათვლით	საერთო ფასი ლარი დღგ-ს ჩათვლით
1	**ევროპული ხაზი კაფსულა 37მმ 10pc**	შეკვრა (10pc)	100	15	**1500**
2	**ამერიკული ხაზი კაფსულა 51მმ 12pc**	შეკვრა (12pc)	100	18	**1800**
	ჯამი სულ:				**3300.00**

დასახელება	მოცულობა	ერთეულის ფასი ლარი დღგ-ს ჩათვლით
ევროპული		
კაფსულა 37მმ ცისფერი 03 10pc (უკოფეინო)	შეკვრა	**15**
კაფსულა 37მმ ყვითელი 04 10pc	შეკვრა	15
კაფსულა 37მმ ლურჯი 05 10pc	შეკვრა	15
კაფსულა 37მმ წითელი 06 10pc	შეკვრა	15
კაფსულა 37მმ მწვანე 07 10pc	შეკვრა	15
კაფსულა 37მმ იასამნისფერი 08 10pc	შეკვრა	15
კაფსულა 37მმ ბურგუნდი 09 10pc	შეკვრა	15
კაფსულა 37მმ ტყის თხილი 10pc	შეკვრა	15
კაფსულა 37მმ ვანილი 10pc	შეკვრა	15
კაფსულა 37მმ კარამელი 10pc	შეკვრა	15
კაფსულა 37მმ ქოქოსი 10pc	შეკვრა	15
ამერიკული		
კაფსულა 51მმ მარჯნისფერი 03 12pc	შეკვრა	18
კაფსულა 51მმ ყვითელი 04 12pc	შეკვრა	18
კაფსულა 51მმ ლურჯი 05 12pc	შეკვრა	18
კაფსულა 51მმ იასამნისფერი 07 12pc	შეკვრა	18
კაფსულა 51მმ წითელი 08 12pc	შეკვრა	18
კაფსულა 51მმ კარამელის არომატით 12pc	შეკვრა	18
კაფსულა 51მმ ვანილის არომატით 12pc	შეკვრა	18
კაფსულა 51მმ ტყის თხილი 12pc	შეკვრა	18
კაფსულა 51მმ ცისფერი (უკოფეინო)12pc	შეკვრა	18
კაფსულა 51მმ მაკაპუნოს ქოქოსის არომატით (12pc)	შეკვრა	18
კაფსულა 51მმ მთის ჟოლო (12pc)	შეკვრა	18